წლიწადი მეორე

Deuxième année.

ახალი საქართველო

შენს ხსოვნას შენ მიერ დაწყებული საქმის გაგრძელებით აღვნიშნავთ.

გაზ. «ახალი საქართველო»-ს რედაქცია.

PARIS
10 Juillet 1926
N° 26

Journal Géorgien " LA GÉORGIE NOUVELLE „ — Fondateur : G. Veshapely.
ორკვირეული ორგანო დაარსებული გრიგოლ ვეშაპელის მიერ

პარიზი
10 ივლისი 1926 წელი
ფასი 20 კაპ

3, Impasse Crozatier, PARIS-XII | Annonces : 10 frs la ligne | Pour l'Étranger. Un an. . . . . 100 francs Abonnement : 20 frs pour 6 mois | Prix du Numéro : Étranger 10 cents américains, France : 1 fr.

გაზეთ «ახალი საქართველოს» ცალკე ნომრის მიღება გასაცნობად შეიძლება უფასოდ. საკმარისია მისამართის შეტყობინება.

პარიზი 10 ივლისი.

10 ივნისს ვერაგულათ გამოასალმეს სიცოცხლეს ჩვენი გაზეთის დამარსებელი და ხელმძღვანელი გრ. ვეშაპელი.

გონება დაკარგულ თეთრგვარდიელთა ავანტიურიზმმა ის ღირსეულ სადარაჯოს სამუდამოთ ჩამოაშორა.

უსაზღვროა ჩვენი მწუხარება, მძიმეა ჩვენი დანაკლისი.

მის წმინდა ხსოვნას ჩვენ მის მიერ დაწყებული საქმის გაგრძელებით აღვნიშნავთ. ჩვენ გამოვტაცებთ ქართველ მშრომელ ინტელიგენციას იმ სასიკვდილო ქსელს, რომელშიაც ის სოც. დემ. ნიღაბის ქვეშ ბურჟუაზიულმა იდეოლოგიამ მოაქცია.

ოფიციალურ განცხადებით სოც.-დემ. ბიურო ცდილობს თავიდან მოიშოროს საშინელი მკვლელობა და ის მკვლელის პირად აქტად გამოაცხადოს. ამისთვის «ახალი საქართველო»-ს № 1 სასიკვდილო განაჩენით მზის სინათლეზე ამოატივტივეს. მაგრამ რატომ ეს განაჩენი მხოლოდ ორი წლის შემდეგ და სწორედ მაშინ შესრულდა როცა მიღებული ცნობები ახალ მენშევიკურ დემონსტრაციაზე მიგვითითებდენ?

და ეს დემონსტრაცია სასიკვდილო აკტი აღმოჩნდა. და ასეთი აკტები ხომ აუცილებელია, რომ გაკოტრებულ კონტრ-რევოლიუციის ლიდერებმა თავისი არსებობა კიდევ რამოდენიმე წლით გააგრძელონ და ის რესურსები არ დაკარგონ, რომლებიც ჯერ კიდევ გამოჩდებიან, თუ «საქმიანობა» მათი ნულამდის არ დავიდა.

ყოფ. მინისტრები რასაკვირველია ხედავენ, რომ საქართველო შეურიგდა საბჭოთა რეჟიმს, რომ იქ სიწყნარეა, რომ ასეთი «დემონსტრაციებით» ისინი დაკარგულ ძალაუფლებას ვერ დაიბრუნებენ: მაგრამ... მაგრამ ისინი განა რაიმე საშვალებას დაზოგავენ, რომ ის «უკანასკნელი წყალობა» ქართველი მშრომელი ხალხის მტრებისა არ დაკარგონ, თუ გინდ ამას მათი სრული მორალური დაცემა მოყვეს შედეგად?

ორი წლის წინად ასეთი საშვალება «ანტისაბჭოთა აჯანყება» იყო?

ორი უკანასკნელი წელი უფრო უიმედო აღმოჩდა, ასეთი «აჯანყება»-ც კი აღარ შეესაბამებოდა მათ ძალებს. მენშევიკების ძალა-უფლება პარიზს არ ცილდება და ერთად ერთ საშუალებად საქართველოს უკმაყოფილება რომ ვინმესთვის მოეჩვენებიათ ვერაგული სიკვდილი მიიჩნიეს და ისიც ცნობილ და ღირსეულ ლიტერატორის.

გრ. ვეშაპელის სიკვდილი ის პოლიტიკური დემონსტრაციაა, რომელსაც მენშევიკები და მათი მეგობრები მიმდინარე წელში ამზადებდენ.

მოხდა მკვლელობა,რომლითაც ისინი ცდილობენ, განაახლონ მიმქრალი ინტერესები, „ქართული საკითხისადმი“ და სიმტკიცე შეიტანონ საბოლოოდ დანგრეულ თავის რიგებში.

აი რა არის მთავარი აზრი ამ საზიზღარ დანაშაულის.

აი სანამდის მივიდა მსოფლმხედველობა და აკტიურობა ოდესღაც «თითქოს მარკსისტები»-ს.

სისხლი დაღვრილი ჩაყიდი ბანდიტის ხელით ათას წერილებზე და განცხადებებზე უფრო მკაფიოდ და ნათლად ამბობს ყველაფერს.

მკვლელების არჩევანი სწორედ რომ გრ. ვეშაპელზე შეჩერდა ამას მჭიდრო კავშირი აქვს ქართული აზროვნების ევოლუციასთან.

ოდესღაც სოც. დემ. მუშათა პარტიას სამუდამოდ დაშორდა 25.000 მუშა იქ საქართველოში და ყველა პატიოსანი, სინდისიერი მუშა აქ ევროპაში. მენშევიკებისთვის აუცილებელი გახდა თავისი სამოქმედო ბაზის ბურჟუაზიულ და წვრილ-ბურჟუაზიულ ინტელიგენციის ინტერებზე შენება. ამ ახალ დასამყარ ძალის ძიების დროს მათთვინ ყველაფერზე უფრო საშინელი მოვლენა—ქართული «ხმენავეხელობა» არის, რომელიც მშვიდობიანი გზით თანდათან უმორჩილებს წვრილ-ბურჟუაზიულ სტიქიას პროლეტარულ იდეურ ხელმძღვანელობას. ქართულ ემიგრაციაში ასეთი დიდი და პირველი ძალა გრ. ვეშაპელი იყო. მისი ნაბიჯი და შემდეგი მუშაობა უეჭველად აღინიშნება, როგორც ახალი ეტაპი ქართული ინტელიგენციის ისტორიაში. მისი ძლიერი და მადლიანი გამოძახილი შიშის ზარს სცემდა თეთრ-გვარდიელთა მეთაურებს და უკანასკნელ დასაყრდნობ ძალის ხელიდან გამოცლით ემუქრებოდა.

და აი, სადღაც მოილაპარაკეს, მიაჩეჩეს ხელში რევოლვერი და საბოლოოდ «მოსპეს» ვეშაპელი.

ამით ცხოვრების სინამდვილის მსვლელობის, მისი ნორმალურ განვითარების, მისი ისტორიის ძაფის გაწყვეტა სურდათ!

მიაღწიეს მიზანს? დასასრულია ეს თუ დასაწყისი?

ვეშაპელმა სისხლით შემოხაზა თავისი ახალი გზა...

ამ გზაზე უფრო ადვილად და შეგნებით გაივლიან ახალი ჯგუფები, უფრო უშიშრად, უფრო მედგრად.

არც გრიგოლი და არც მისი მეგობრები ორი წლის ბრძოლის მანძილზე ძალადობას არასოდეს არ მიმართავდენ, მიუხედავად მათთან მხეცურად გამკლავებისა.

მას მხოლოდ უხეში ძალით ებრძოდენ... და ბოლომდის... დრო მოვა, რაც დათესეთ იმას მოიმკით!..

და მაშინ, ისტორიის სასამართლოს წინაშე, ფარისევლურად უარმყოფელთა კასტა, ნუღარ მოელის მკვლელის ლაქის თავის სისხლიან სახიდან წარეცხვას.

არჩევანი აღარ დარჩა: ვინც დღეს ვეშაპელის წმინდა ხსოვნასთან არ არის, ის მშრომელ საქართველოს მტერია.



გრიგოლ ვეშაპელი

(1891-1926)

ბიოგრაფიული ცნობები

გრიგოლ გიორგის-ძე ვეშაპელი (ვეშაპიძე) დაიბადა სოფელ საირხეში (შორაპნის მაზრა) 1891 წელს. იყო ღარიბი გლეხის შვილი. განათლება მიიღო ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, რომელიც გაათავა, როგორც საუკეთესო მოწაფემ. გიმნაზიის გათავებისთანავე მას წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებამ დაუნიშნა სტიპენდია და ის შევიდა მოსკოვის უნივერსიტეტში (ფილოლოგიურ ფაკულტეტზე), რომელიც დაამთავრა 1916 წელს.

უკვე სტუდენტობის დროს ვეშაპელმა მიიპყრო ყურადღება, როგორც ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს ორგანიზატორმა და პუბლიცისტმა.

ამ ხანებში ვეშაპელმა დასწერა რამოდენიმე შრომა რუსულ და ქართულ ენებზე. მათ შორის აღსანიშნავია «საქართველო და ლაზისტანი» და «საქართველოს შეერთება რუსეთთან».

თებერვლის რევოლიუციის შემდეგ ვეშაპელი დაბრუნდა საქართველოში. იგი სათავეში ჩაუდგა ახლად დაარსებულ ეროვნ.-დემოკრატ. პარტიას, რომლის ფაქტიური დამაარსებელი და ხელმძღვანელი იყო.

1917 წელში იგი არჩეული იქნა ამიერ-კავკასიის სეიმის წევრად, შემდეგ მისი ინიციატივით და უახლოესი მონაწილეობით შეიქნა საქართველოს ეროვნული საბჭო, რომელიც შემდეგ გარდაიქმნა პარლამენტად. ეროვნულ საბჭოსა და პარლამენტში ვეშაპელი იპყრობდა საზოგადოების ყურადღებას, როგორც საქმიანი და ჭკუამახვილი ორატორი. ამ ხანებში ვეშაპელი რედაქტორობდა ნ.დ. პარტიის ორგანოს «საქართველოს». საქ. დამფუძნებელი კრების წევრად ვეშაპელი გავიდა როგორც «დამოუკიდებელი ნ. დ. პარტიის» ხელმძღვანელი, რომლის ორგანო იყო გაზეთი «კლდე».

1921 წელს ვეშაპელი არ გაყვა ემიგრაციაში ყოფილ მთავრობას. რამდენიმე ხანი დარჩა ბათომში და მხოლოდ შემდეგ მარტო წავიდა სტამბოლში. ვეშაპელმა ემიგრაციაში ყოფნის დროს შემოიარა იტალია, საფრანგეთი, ინგლისი და გერმანია. შეისწავლა ფრანგული, ინგლ. და გერმ. ენები, რამაც საშუალება მისცა მას უშუალოდ გასცნობოდა, ამ ქვეყნების მდგომარეობას და ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეებს. 1924 წლამდე ვეშაპელი აწარმოებდა დიდ ანტიბოლშევიკურ მუშაობას, როგორც ყოფ. მენშევიკურ მთავრობასთან ერთად, ისე კერძოთ, მაგრამ ამ აკტიურ მუშაობაში იგი თანდათან რწმუნდებოდა, რომ ანტიბოლშევიკურ საქმეს ეკარგება ყოველგვარი ნიადაგი და საჭიროა სხვა, ახალი გზების ძებნა.

და როცა მენშევიკური მთავრობა დაადგა აშკარა ავანტიურის გზას დაგადასწყვიტა ამბოხების მოწყობა საქართველოში, ვეშაპელმა გასწყვიტა ყოველგვარი კავშირი მის ყოფილ მოკავშირეებთან და ათი თვის განმავლობაში მუშაობდა პარიზის ერთ-ერთ ქარხანაში. 1924 წლის ივნისში ინახულა პარიზში ერთი პასუხისმგებელი პირი, რომელსაც განუცხადა, რომ იგი მზადაა დაბრუნდეს საქართველოში.

ხალხის ტრფიალმა, საქართველოს სიყვარულმა ის გაბედულად მიიყვანა საბჭოთა ხელისუფლებასთან.

მისგან განვლილი გზა მალე გაიარა ახალმა ასეულმა საღად მოაზროვნე ქართველებისა. ასევე მოიქცევა საქართველოს კეთილდღეობისათვის მზრუნავი ქართველი ინტელიგენცია და ყველა, ვინც ხალხის ინტერესებს თავად-აზნაურულ პრივილეგიებზე მაღლა აყენებს.

1924 წლის ნოემბერში ვეშაპელმა გამოსცა პარიზში გაზეთი «ახალი საქართველო», რომლის პოზიცია და პოლიტიკური გეზი ცნობილია.

ამ გაზეთის გამოშვების შემდეგ ვეშაპელი მენშევიკური მთავრობის წყალობით ორჯერ იქნა გადასახლებული საფრანგეთიდან; განკარგულება მისი მესამეჯერ პარიზიდან გადასახლებისა შეჩერებული იქნა ამხ. რაკოვსკის ენერგიულ პროტესტის შემდეგ.

ამ ბოლო დროს გრ. ვეშაპელი საქართველოში დაბრუნებას აპირებდა. მაგრამ ვერაგი ადამიანის ხელმა ის გამოასალმა სიცოცხლეს და მას არ დასცალდა გამოეჩინა თავისი ჭკუა და ენერგია საბჭოთა აღმშენებლობის სარბიელზე.

მშრომელი საქართველო, შორეულ უცხოეთში მტარვალის ხელით საერთო საქმისათვის განგმირულ თავის შვილს არ დაივიწყებს.

საქართველომ დაკარგა საუკეთესო პატრიოტი, ამ სიტყვის სწორი გაგებით, და საქართველოს ინტელიგენციამ ცნობილი და ღირსეული წევრი.

ვინაა მკვლელი?

მერაბიშვილის პიროვნების ირგვლივ იბმება ხლართები და ამ ხლართებში იფარება სწორი სახე და ნამდვილი მოტივები მკვლელობის.

სამსჯავროს მოვალეობაა ნათელყოს ეს მოტივები და ამ შემთხვევაში ჩვენ გვინდა მხოლოდ გამოვსთქვათ იმედი, რომ საფრანგეთის სასამართლო სრული ობიექტიობით მოუდგება როგორც მკვლელს, ისე საზიზღარ მკვლელობას და გაამიშვლებს ამ შემაძრწუნებელ მოვლენის სულის ჩამდგმელთ.

გამართლდება ჩვენი იმედები? —ამას ნათელყოფს ახლო მომავალი; ჯერ-ჯერობით ჩვენ საქმე გვაქვს რუსეთის ემიგრანტთა და ზოგიერთ ფრანგულ გაზეთების ცდასთან, დაამახინჯონ ფაკტები და ამით საზოგადო აზრის ყურადღების გარეშე დასტოვონ დანაშაულის ნამდვილი მესაჭენი.

აი პირველ შემთხვევაში რა იქცევს ყურადღებას:

თვით მკვლელი ვერ ასაბუთებს, ოდნავ გარკვევითაც კი, თავის დანაშაულის მოტივებს. ყველა დღემდის გაზეთებში გამოქვეყნებული მისი ჩვენებები სტოვებენ გარკვეულ შთაბეჭდილებას გარედან ნაკარნახევ, ზეპირად შესწავლილ, ტრაფარეტიულ სიცრუის. სიცრუისა, რომელმაც მოიპოვა მოქალაქეობა კონრადის სამარცხვინო პროცესის შემდეგ.

სიცრუე პირველი:—

მერაბიშვილმა გადასწყვიტა ვეშაპელის მოკვლა მენშევიკების (24 წელში) უგუნური აჯანყების შემდეგ. რომ ეს ასე არ არის ამას ცხადყოფს ორი ფაკტი: უპირველეს ყოვლისა, აქ ამ აჯანყებამ იმდენად აუმალა ანგარიშები მერაბიშვილს რომ მას დაავიწყდა აჯანყების დატა. თავისი ჩვენებაში ის ასახელებს 24 წლის ნოემბერს, მაშინ როდესაც მხეცურ მენშევიკურ ავანტიურას ქონდა ადგილი 24 წლის აგვისტოს ბოლო რიცხვებში.

—საკვირველი გულმავიწყობაა იმ კაცისთვის, რომელიც ეწირება სისხლის აღების საქმეს!

მეორე:—

—გრ. ვეშაპელის რედაკტორობით გამომავალ გაზეთის პირველსავე ნომერზე აღნიშნა ჯალათმა თავის ფიცი სისხლის აღებაზე, ხოლო სისრულეში მოიყვანა 1926 წლის ივნისში. ამ ხნის განმავლობაში მერაბიშვილი არა თუ რამოდენიმეჯერ დაესწრო ვეშაპელის მოხსენებას, არამედ სახლშიც მიდიოდა მასთან და მიმართავდა ხოლმე სხვა და სხვა თხოვნებით მრავალგვარ დახმარებაზე. კითხვა ისმის: რამ აღუძრა მას ასე მოულოდნელად სისხლის აღების სურვილი ეხლა, 26 წლის 10 ივნისს? რა აკავებდა ამ მოზღვავებულ სურვილს ამ ორი წლის განმავლობაში?

სიცრუე მეორე:—

—მერაბიშვილმა სისხლი აიღო საქართველოში მამისა და ნათესავების დახვრეტისათვის. ამ შემთხვევაში უსარგებლოა შეეჭვებაც კი. ის უტიფრად ცრუობს. არც მან, არც არავინ სხვამ არა იცოდა რა ამ დახვრეტების შესახებ. ეს მისდამი ნაკარნახევია.

სიცრუე მესამე.—

—«მე არ ვარ მენშევიკი», აცხადებს მერაბიშვილი. «ის არაა მენშევიკი», ბანს აძლევს მენშევიკების ცენტრ. კომიტეტი.

ჩვენ ვამტკიცებთ კატეგორიულად, რომ ჯერ კიდევ ბერლინში მენშევიკები სთვლიდენ მერაბიშვილს ერთად ერთ საიმედო პირად. ამას ამბობდა 1924 წელში მენშევიკების წარმომადგენელი ბერლინში და არა ვინმე უბრალო პირი. შემდეგ: გასული წლის 9 აგვისტოს მენშევიკების მიერ კონსპირატიულად მოწყობილ თავდასხმაში ქართულ საბჭოთა კოლონიაზე, მერაბიშვილმა მიიღო მონაწილეობა. და უკანასკნელად, ქარხანაში, სადაც ის მუშაობდა, მუშებში ითვლებოდა მენშევიკურ ლიდერად.

სიცრუე მეოთხე—

—მერაბიშვილი გრ. ვეშაპელის მკვლელობაში მოქმედებდა დამოუკიდებლად, ყოველგვარ გარეშე გავლენისაგან თავისუფალი. სულ რამდენიმე დღის წინ მკვლელობისა მერაბიშვილი, თავის ჩვეულებისამებრ, საჭიროებდა ფულს· ერთი დღის წინედ კი — ის მივიდა ქარხანაში, გაისტუმრა ვალები, იქეიფა მუშებთან და თან ეუბნებოდა: «ეხლა ფული არის». ხოლო მკვლელობის დღეს, როგორც ადასტურებენ მნახველნი, მერაბიშვილი იყო «კარგად ჩაცმული», რაც მისთვის არაჩვეულებრივი მოვლენაა.

დღეს კი ქართველი მენშევიკების ც. კ. განყენებულად აცხადებს თავის თავს მერაბიშვილიდან, ისე როგორც თავის დროზე, ძინძიბაძის ყანდარელზე სროლიდან, მიუხედავად იმისა, რომ ძინძიბაძეს იმავე ც. კ. ლოცვა-კურთხევით იცავდა პოლ ბონკური, ხოლო ბ. კაკი წერეთელი ძინძიბაძის სასარგებლო ჩვენებას იძლეოდა.

ჩვენ ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ მერაბიშვილის დასაცავად ეხლაც მენშევიკების ც. კ. გამოვა ამა თუ იმ ვექილის სახით და «კეთილშობილი» წერეთელი მისცემს ჩვენებას, რომელიც არასდროს არ სხვავდება „ჭეშმარიტებიდან“.

გამოძახილი ევროპაში

გრიგოლის ხსოვნას

აგვისტოს დღეების შემდეგ ბევრს ეგონა ეს ახლო წარსული გაკვეთილათ გამოადგებოდა მის ინიციატორებს და მომავლისათვის უფრო საღ და მიზანშეწონილ პოლიტიკას მიმართავდენ, მაგრამ მოსტყუვდენ ისინი, ვინც ასე ფიქრობდა. პარიზში დღეს წმინდა სისხლი დაიღვარა.

მენშევიკური ემიგრაცია ვერ ისვენებს და გადადის მორიგ პროვოკაციულ მოქმედებაზე, მაგრამ ქართველ ხალხს ის შეცდომაში ვეღარ შეიყვანს. მან საქართველოს სინამდვილეში დაკარგა ყოველგვარი ნიადაგი, გამოეცალა უკანასკნელი დასაყრდნობი წერტილი და მან თავისი მოქმედების სიმძიმის ცენტრი გადააქვს ევროპაში, საბჭოთა მოქალაქეების წინააღმდეგ. ჩვენ კი ვაფრთხილებთ ძველებურად სხენებულ ვაჟბატონებს, რომ საბჭოთა ხელისუფლება ენერგიულათ დაიცავს თავისი მოქალაქეების ინტერესებს და მათ ტერორისტულ აქტს შესაფერად დააფასებს.

ასეთი მკვლელობა, მათ მიერ ჩადენილი, პირველი არ არის.

ჩვენ აქ უნდა გვაინტერესებდეს ამ საქმის არა გარეგნული მხარე, რომელსაც ის გასამართლების შემდეგ მიიღებს არამედ მისი შინაარსი. ჩაუკვირდეთ მას კარგათ. ნამდვილი მკვლელი დღეს სასამართლოს გარეშე არის.

მშრომელი ხალხის მტრებმა ფიზიკურად მოსპეს გრ. ვეშაპელი, თავისი შავი მიზნებისთვის გაათახსირეს და გარყვნეს მერაბიშვილი, ერთი სიცოცხლე მოშალეს, მეორე კი სამუდამოთ გახრწნეს.

როგორც პოლიტიკური პარტია—მენშევიზმი გაკოტრდა. მან დაკარგა მისი მასიური ხასიათი და დღეს ის იმ უსაქმო ინტელიგენციის ხვეტად გადაიქცა, რომელსაც აღარავითარი კავშირი მშრომელ მასასთან აღარ გააჩნია. (ძამანაშვილმა, გ. ხულაქველიძემ და ყარიბმა მენშევიზმის უკანასკნელი ბალდახინი გადაიტანეს ჩვენს ქვეყანაში). ფართო მასის დაკარგვასთან ერთად მათ დაკარგეს ყველა მეთოდები იმ იდეურ ბრძოლისა, რომელიც ოდესღაც მესამე დასელებს ახასიათებდა. ინდივიდუალური ტერორი პირველი მაჩვენებელია მარქსიზმის უარყოფისა და დაშნაკიზმისაკენ გადახრის.

როგორც ვიცით ვეშაპელი მარტო არ არის. მენშევიკების სინდისს ჟანგავს აგრეთვე ძველი რევოლუციონერი გიორგაძის აჩრდილიც, რომელიც, როგორც გრიგოლი, მხოლოდ რწმენისათვის მოკლეს.

ახალ აზრს, კრიტიკას ვერ იტანს მენშევიკური ემიგრაცია. ვიცით ამ ნიადაგზე მან დააწვრიმალა წერეთელიც, რომელიც ყოველ მესამე თვეს ახალ-ახალ ოპოზიციას აარსებს. კერენშჩინის ანტიკვარიუმი წერეთელი დღეს ოპოზიციონერის სახელით ცდილობს უმანკოთ გამოიყვანოს თავისი თავი იმ საშინელებიდან, რომელსაც მის ირგვლივ ჩადიან.

ვეშაპელი მოკლეს. მაგრამ უგუნურები ტყუვდებიან: შეძლებენ ისინი იმ საქმის მოკვლას, რომელსაც გრიგოლი ემსახურებოდა? ამაზე გვიპასუხებს დღევანდელი საქართველო, სადაც მთელი ხალხი, მთელი მშრომელი მასა და გლეხობა საბჭოთა ხელისუფლების გამაგრებაშია დაინტერესებული. «ჟორდანიამ მოგვცა საფლავები. ჟორდანიამ სისხლი აწვიმა ჩვენს აპყრობილ ხელებს». აი რას გაიძახის ის ქართველი ხალხი, რომლის მშვიდობიან ცხოვრებას შეეწირა გრიგოლი.

გრიგოლი ახალგაზრდობიდანვე იყო ქართველი ერის მოყვარული და ასეთათ დარჩა ბოლომდის. მას სწამდა თავისი ერის მომავალი. მას შეგნებული ქონდა ის მჭიდრო კავშირი, რომელიც უნდა ქონდეს ამიერ-კავკასიის ხალხებს. გრიგოლის ნაციონალიზმი—ეს აღარ იყო ძველი შოვინიზმი, რომელიც დათესა ჩვენს ხალხში უსაქმო ბიუროკრატიამ.

გაზეთი «ახალი საქართველო» ამას ემსახურებოდა და უნდა ითქვას სიმართლე ამ მხრივ გრიგოლმა დაუფასებელი დახმარება გაუწია ჩვენს ხალხს.

ბევრი ქართველი მან ბურუსისაგან გამოიყვანა.

ახალგაზრდა პოლიტიკოსი უცილოთ ღირსეულ ყურადღებას მიიპყრობს ჩვენი ერის პოლიტიკური ცხოვრების მკვლევარისა, რომლის მიუდგომელი მსჯავრი იქნება: «ზიზღი მტარვალებს შენი სიკვდილისათვის!»

მარტის რიცხვში პარიზი დავსტოვე. ამ დროს იქ ოდენკურის ამბების გამო ანარქია იყო გამეფებული. გრიგოლს ოფიციალურათ მოუგზავნეს მენშევიკებმა კაცი: «თუ ამ ამბის შესახებ რამე დაგიწერია სიცოცხლეს გამოგასალმებთო». გრიგოლი ამას არ შეუშინდა და ჩვენ წავიკითხეთ შემდეგი ნომერი «ახალი საქართველო»-სი, სადაც ოდენკურის საგმირო საქმე ნათლად იყო დახატული. «გარ დიუ ნორდ»-ის სადგურზე, წვიმიან დანისლულ საღამოს ჩვენ გამოვემშვიდობეთ ერთმანეთს. მისი უკანასკნელი სიტყვები იყო: «მშვიდობით, არ ვიცი გნახავ კიდევ თუ არა!»...

ჩემო კარგო მეგობარო! მტერმა მართლა აღარ დაგვაცალა კვლავ ერთმანეთის ნახვა...

მშვიდობით გრიგოლ!

მშვიდობით ჩემო კარგო მეგობარო!..

ნ. ივანიშვილი

ბერლინი.

ვერაგული მკვლელობა

სამარცხვინო მკვლელობა მოხდა, მალულათ, ზურგიდან, ტერორისტული მკვლელობა და მერე რისთვის? იმისთვის რომ გრ. ვეშაპელმა თავისი აზრი და შეხედულება გაბედულათ გამოსთქვა და დაიცვა. თავისუფალი აზრი ტყვიამ დაახშო, უხეში ძალადობა ნავარდობს, ის უკვე ბატონობს ამ რიგათ ინდივიდუალური ტერორი გამოცხადებულია ლეგალურ საშუალებათ მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში. ქართველი ერის გულისათვის და მისი სახელით იმავე ქართველი ერის შვილებს უმასპინძლდებიან ტყვიით. ეს საზიზღარი მკვლელობა იწერება პარიზელ ემიგრანტულ წრეების „კონტ“-ზე, იმ ემიგრაციის, რომელმაც ამ ჯავრის ამოყრის საშინელი აქტით დაამტკიცა, რომ მან განიცადა დიდათ „საქები“ განვითარება დემოკრატიიდან ფაშიზმამდე. ასეთი იშვიათი წარმატება უეჭველათ მისალოცია. საქართველოდან შორს მყოფი და მასთან კულტურულ კავშირს მოკლებული ქართული ემიგრანტული წრეები პარიზში ცდილობენ ბრაუნინგის საშუალებით საბჭოთა ხელისუფლების დამხობას და ამით საქართველოს განთავისუფლებას. და აღდგენილია კი გრიგოლ ვეშაპელის მოკვლით „საქართველოს დამოუკიდებლობა?“ საზოგადოებრივი ცხოვრება სავსეა წინააღმდეგობებით, მაგრამ არც ერთი გონიერი ადამიანი არ იფიქრებს, რომ ტერორის საშუალებით შეიძლებოდეს ამ წინააღმდეგობათა შერიგება და მოსპობა. ტერორისტული ძალადობა უფრო ამლიერებს ამ წინააღმდეგობებს, ამით ქსაქსავს და ღუპავს ერის სასიცოცხლო ძალებს. ამ გზაზე დამდგარი ემიგრაცია სცდება ეროვნულ სამოქმედო ასპარეზს და ითვისებს ქართველისათვის უცხო და მავნე ბრძოლის მეთოდებს, რომლებიც ქართულ კულტურასთან შეუთვისებელია.

ქართველი ერი ვერ გაიზიარებს ამ ეროვნულ ძალების განადგურების პოლიტიკას, ვინაიდან, როგორც სხვა ერს, ისე ქართველსაც აქვს რაღაც მომავალი და ამ მომავალს ის ვერ გასწირავს ერთი მუჭა ჯგუფის სანაცვლოთ. ნუ დაგვავიწყდება, რომ ჩვენი ერი ყოველთვის წინააღმდეგი იყო დაშნაკური მაუზერიზმის და ასევე ერთსულოვნათ დაგმობს ის ეხლა უმსგავსო აღმაშფოთებელ საქციელს ვიღაც მერაბიშვილისა, რომელმაც ეს ბინძური საქმე სხვისი შთაგონებით ჩაიდინა.

ძირს ტერორისტული ფაშიზმი! გაუმარჯოს ქართველ ერს და მის თავისუფალ განვითარებას.

მ. იმნაიშვილი.

ბერლინი.

გრიგოლ ვეშაპელის ხსოვნას

პოლიტიკურ ჰორიზონტზე მეტეორივით გამოჩნდა გრიგ. ვეშაპელი და ისევ ჩქარა გაქრა უსაზღვრო სივრცეში. ხანმოკლე იყო მისი სიცოცხლე, მაშასადამე მისი პოლიტიკური მოღვაწეობაც. მეტად ენერგიული და უაღრესად ნიჭიერი ის საშიშროებას წარმოადგენდა მოწინააღმდეგესათვის და ამან იმსხვერპლა კიდევაც მისი სიცოცხლე. მისმა მოწინააღმდეგეებმა ვერ გაუძლეს მუდმივ საშიშროებას ვეშაპელის სახით და მოისურვეს მისი ფიზიკურათ მოსპობა. მიუხედავათ იმისა, რომ ასე ხანმოკლე გამოდგა მისი სიცოცხლე, მაინც მრავალფეროვანია და ღრმა შინაარსი ახასიათებდა მას. ის მუდამ ახალს ეძებდა, მისი აზროვნება არ იყო შებოჭვილი კონსერვატიული იდეოლოგიით, ის ახალს, მოდერნულ იდეებს ადვილათ ითვისებდა, არა ხელოვნურათ, არამედ სრულიად ბუნებრივათ და წრფელის გულით სტუდენტობის დროს, თავისი ნიჭიერი და ორიგინალური რეფერატებით და მოხსენებებით მსმენელების დიდ ყურადღებას იპყრობდა; ის თავიდანვე იძლეოდა დიდ იმედებს და ამ მხრივ სრულიად გაამართლა იმან ქართული საზოგადოების მოლოდინი.

რევოლიუციის პირველ დღეებიდანვე ვეშაპელი აშკარათ და გაბედულათ გამოდის პოლიტიკურ ასპარეზზე და აკავშირებს ქართულ ინტელიგენციას ეროვნულ იდეის გარშემო. ის ქმნის ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას და თავის ნიჭის და ენერგიის წყალობით სათავეში უდგება მას. მის მუდმივ ოცნებას ეროვნული საკითხის გადაჭრა წარმოადგენდა. ის მუდამ ამისთვის იბრძოდა თავის სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე. სწორეთ ბრძოლამ ნაციონალურ საკითხისათვის იმსხვერპლა ვეშაპელის სიცოცხლე. სწორეთ ამაში გამოიხატება ვეშაპელის ტრაგიზმი! ის ადამიანი რომელიც სულ მუდამ თავის ერზე ოცნებობდა, მთელს თავის ენერგიას და ნიჭს მის კულტურულ წინსვლას ანდომებდა, თითქოს როგორც უკარგისი პატრიოტი, წარმოიდგინეთ თითქმის თავის ერის მოღალატეთ იქნა აღიარებულ მოწინააღმდეგე ბანაკის მიერ.

იყო გრიგოლ ვეშაპელი მართლა თავის ერის მოღალატე?

ჩაიდინა იმან დანაშაული ქართველი ხალხის წინაშე?

იყო ვეშაპელის პოლიტიკური ხაზი ქართველი ხალხის წინააღმდეგ მიმართული?

ის, ვინც არ არის დაბრმავებული ფანატიზმით და შერჩენია უნარი საღი აზროვნებისა, ის იძულებულია აღიაროს ის ჭეშმარიტება, რომ ვეშაპელმა გადაარჩინა ქართველი ინტელიგენცია, ქართველი ახალგაზრდობა ფიზიკურ განადგურებას მოაშორა მას ის უფსკრული, რომლისაკენ იგანტიური ნაბიჯით მიაქანებდა საქართველოს აქტიურ ძალებს, მის საუკეთესო ელემენტებს ემიგრაციის დამღუპველი პოლიტიკა. საქართველოში თითქმის ყველამ შეიგნო მიზანშეწონილობა მისი პოლიტიკისა, რომელიც აშკარა გამოხატულებაა რეალურ ძალთა განწყობილებისა. ევროპაშიც, სადაც ემიგრაციის სასტიკი ტერორი მძვინვარებს, მუშურმა ელემენტებმა აღიარეს ვეშაპელის მიერ შექმნილი რეალური პოლიტიკის აუცილებლობა. ცხადია, რომ ვეშაპელი თავის გავლენის სფეროს საზღვრებს ემიგრაციის წრეებში თანდათან აფართოვებდა, ამით კი ვიწროვდებოდა ქართულ ემიგრაციის დასაყრდნობი მოედანი, მოსალოდნელი იყო ახლო მომავალში სავსებით იზოლიაცია ერთი პატარა ჯგუფის, რომელსაც არამც და არა არ შეუძლია საბჭოთა ხელისუფლებას გასაგებ მიზეზების გამო შეურიგდეს. აქედან აშკარაა, თუ რა დიდ საშიშროებას წარმოადგენდა ვეშაპელი მენშევიკური ემიგრაციისათვის. სწორედ ამის გამო მოიშორა მან ვეშაპელი თავიდან. აქ მერაბიშვილის პიროვნება სრულიად არ არის საინტერესო, ასეთ მოსყიდულ ჯალათებს ემიგრაცია მუდამ იშოვნიდა და რომ დღევანდელი ვეშაპელის მკვლელი შემთხვევით პარიზში არ ყოფილიყო, გამოჩნდებოდა მეორე მერაბიშვილი. აქ საყურადღებო ის არის, რომ ამისთანა ტერორისტული აქტით ბრძოლა არის ემიგრანტული პოლიტიკის სრული გაკოტრება, განა ასეთი მეთოდით ბრძოლა, არ არის დაშნაკცაკანური მაუზერისტული პოლიტიკა? შემდეგ რა მოყვა ასეთ პოლიტიკას? სომხეთის ხალხის სრული ამოწყვეტა. განა სურს ქართულ ემიგრაციას ქართველი ხალხის ასე განადგურება? მაგრამ იმათ როგორც სჩანს ქართველი ხალხის ინტერესები კი არ ალაპარაკებთ, არამედ პარტიული ვიწრო მოსაზრებანი. ეს აშკარათ დაანახვა ვეშაპელმა მთელ ხალხს, ამით იხსნა მან მთელი ახალგაზრდობა დაღუპვისაგან, მხოლოდ ამის გამო კი უფრო მეტად დაიმსახურა მან ემიგრაციის გულისწყრომა და სიძულვილი, რომელიც მისი ჯალათური მკვლელობით დათავდა.

ვეშაპელის პოლიტიკას ბევრი მიმდევრები ყავს ევროპაში და საქართველოში, მას ბევრი ამართლებს დღეს.

დადგება ჟამი, როცა ქართველი ისტორიკოსი თავის ობიექტიურ მსჯავრს დასდებს და მის მოღვაწეობას ქართველი ხალხის ამაგათ ჩათვლის.

მ. წულეისკირი

ქ. ბერლინი.

ვინ მოკლა გრიგოლი?

გრიგოლმა საბჭოთა პლატფორმის მიღება ერთი ხელის დაკვრით არ გადასჭრა. ამ საკითხს ის დიდი ხნის განმავლობაში, დიდის დაკვირვებით და გულ დასმით სწავლობდა. საქართველოს ეკონომიური გაძლიერება, კულტურული აღორძინება, მისი ეროვნული და სოციალური სიმშვიდე, რომელიც მუშურ-გლეხურ ხელისუფლებამ დაამყარა, უშედეგოთ არ დარჩა გრიგოლის აზროვნებაში. მეორე მხრივ გრიგოლი ქართულ ემიგრაციის შუაგულში ცხოვრობდა. ის კარგათ იცნობს მათ მოქმედებას, მათ სულიერ და მორალურ ღირებულებას, მათ მიერ წარმოებულ ერის გამყიდველ პოლიტიკას. ამავე დროს გრიგოლი ზედმიწევნით იცნობდა მენშევიკურ პარტიის საზღვარ-გარეთულ ბიუროს ბნელ საქმიანობას, რომელმაც აგვისტოს ავანტიურა გამოიწვია.

და აი ასეთ პირობებში, როცა გრიგოლის წინ წამოიჭრა მთელი თავისი სიგრძე-სიგანით საკითხი: —საქართველოს ბედნიერი მომავალი, მისი ეკონომიურ-კულტურული აღორძინება, თუ ქართველი ერის სახალხო მეურნეობის დანგრევა-დაქცევა, მისი კულტურული დაქვეითება, —გრიგოლმა თამამად და გაბედულად პირველი გზა აირჩია. ის დაადგა იმ საერთო შარა-გზას, რომელზედაც დღეს მთელი მშრომელი ერი —მუშურ-გლეხური ხელისუფლების ხელმძღვანელობით მიდის. მაგრამ გრიგოლს მარტო თავისი პირადი საკითხის გადაწყვეტა როდი აკმაყოფილებს. ენერგიით აღსავსე ადამიანის სურვილია მეტი გააკეთოს. მისი თავგანწირული მისწრაფებაა თვალები აუხილოს და სინამდვილე დაანახოს საბჭოთა საქართველოზე იმ ქართულ ემიგრაციას, რომელიც გულუბრყვილოდ და ბრმათ უჯერის და მისდევს პარიზის ავანტიურისტებს.

ამისთვის გრიგოლს საბრძოლველი იარაღი სჭირია და აი ასეთი იარაღი მისი საყვარელი გაზეთი «ახალი საქართველო»-ა. გრიგოლი უშვებს პირველ ნომერს, რომელიც ემიგრანტულ წრეებში დიდ შფოთვას იწვევს. მენშევიკებს შიში ებადებათ გაზეთმა მათი რიგები არ დაარღვიოს, საქართველოზე მენშევიკურ მუშებს სიმართლე არ აცნობოს. და ამიტომ ბ. რამიშვილი თავის ამალის საშუალებით მუქარას უგზავნის და ყოველ ღონისძიებას ხმარობს დაუშალოს გაზეთის გამოცემა. გრიგოლს მართლაც საშუალება ესპობა პარიზში გაზეთი გამოსცეს. ის იძულებულია პარიზიდან ბერლინში გადავიდეს, სადაც თავის ბრძოლის იარაღს ხელიდან არ აგდებს. აქ განაგრძობს გაზეთის გამოცემას. მალე მდგომარეობა იცვლება. გრიგოლი კვლავ პარიზში ბრუნდება, მენშევიკურ ჭაობში, და აქ დაუღალავად უშიშრად, წარბშეუხრელად აწარმოებს იდეურ ბრძოლას მათ წინააღმდეგ.

სანამ ქართული ემიგრაცია ბ. რამიშვილის იდეებით სცხოვრობს, მას არ გააჩნია მიუდგომელი პრესა და არავითარი ცნობა საქართველოს სინამდვილეზე, იგი საზრდოობს მხოლოდ ბ. რამიშვილის ცნობებით. ასეთ პირობებში ბუნებრივია, ემიგრაცია კარგავს მომენტის ობიექტიურათ, სისწორით დაფასების უნარს; ის სავსებით იფლობა გრძნობათა მორევში. აქ გრიგოლის «ახალი საქართველო» ხანგრძლივ იარაზე მალამოა. «ახალი საქართველო» საერთოდ ქართველ და კერძოთ მენშევიკურ ემიგრაციას უტყუარ ცნობებს აწვდის საქართველოს სინამდვილეზე მის აღორძინებით მუშაობაზე. დათესილ მარცვალს ნაყოფი მალე გამოაქვს. ემიგრაციაში ოპოზიცია იწყება ბ. რამიშვილის წინააღმდეგ და მას მოსდევს რღვევა. ბრძოლა მწვავდება. ემიგრაციის ოჯახის კედლები დაგროვილ უთანხმოებას შიგნით ვეღარ იტევენ და სააშკარაოზე გამოდის. მალე მენშევიკურ ემიგრაციას მოშორდა უდიდესი ნაწილი იმ მოწინავე გათვითცნობიერებულ მუშებისა, რომელნიც გუშინ მათთან იყვნენ. შინაურ ბრძოლას მოსდევს აშკარა განხეთქილება. «ახალი საქართველო»-ს ფურცლებზე ვკითხულობთ ვანო ალიხანაშვილის და მისი ჯგუფის დეკლარაციას; ამას მისდევს ალფესი ზედამე თავისი ჯგუფით და სხვა. გრიგოლის მუშაობამ პარიზის გარდა გამოძახილი პოვა პრაღაში, ლონდონში და ბოლოს თვით საქართველოშიაც ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ახალგაზრდათა წრეებში. ეს მოვლენა მენშევიკურ და სხვა ხარისხის ბელადებს თავზარსა სცემს. მათ აღარ შეუძლიათ წინააღმდეგობა გაუწიონ, აღარ შეუძლიათ ნგრევის ტალღა შეაჩერონ. დარღვევის პროცესი დღე-მუდამ ღრმავდება, უთანხმოება იზრდება, რომელსაც ადამიანის მსხვერპლი მოსდევს (იხ. ოდენკურის ამბები).

ბ. რამიშვილები და მმანნი მათნი იდეურ ბრძოლას აღარ სჯერდებიან, რადგან მათი კალამი ერთობ სუსტია, მათი იდეა გაკოტრებულია. ფიქრობენ ახალი საშუალება გამონახონ, ახალი მეთოდი ბრძოლისა. და ეს არის ჯერ მუშტის მეთოდი. ბ. რამიშვილის კურთხევით, «ოსობიოტრიადჩიკების» ერთი ჯგუფი იჭრება კაფეში, სადაც კრებაა და მოულოდნელათ თავს ესხმის იმ პატიოსან მოქალაქეთ, რომელნიც გრიგოლის გზას დაადგნენ და ამით მოშორდენ მორალურათ და იდეურათ გახრწნილ ემიგრაციას. გრიგოლი ამას არ უშინდება. მისი სურვილია საქვეყნოდ დაამტკიცოს ქართული ემიგრაციის იდეური გაკოტრება; —სასამართლოში აძლევს «ოსობიატრიადჩიკებს» (კედია და სხვანი ყველა «ოსობიატრიადელებია»). დგება დრო განკითხვისა. გრიგოლი ბურჟუაზიულ სასამართლოს წინაშე საქვეყნოთ ააშკარავებს ქართულ მენშევიკურ ემიგრაციის მოღალატურ პოლიტიკას, მის გაკოტრებას და განადგურებას. მაგრამ ამას უპირდაპირებს სხვა რამეს, უფრო მნიშვნელოვანს. გრიგოლი იმავე სასამართლოში, სადაც თავისუფალ მოაზროვნეს ხმა არ ამოეღება, რადგან ასეთს ბოლშევიკათ ნათლავენ, მას საშიშროება მოელის, გარკვევით, და თამამად, როგორც ეს გრიგოლის თვისებაა, ამტკიცებს, რომ საქ. მშრომელ ერს არ შეუძლია თავისუფალი არსებობა და განვითარება გარეშე საბჭოთა კავშირისა. აი, სიტყვები, რომელიც გრიგოლს ჩვენს წინაშე აღამაღლებს და ადიდებს. მაგრამ, თურმე ამ დროს მისი ბედი მოღალატეს გადაწყვეტილი ქონია. მის იდეურათ გაკოტრებულ მოწინააღმდეგეს ბრძოლის ახალი მეთოდი ამოუჩენია, მისთვის ტერორი დაუნიშნია. გრიგოლი სტოვებს სასამართლოს და მიეშურება თავის მტკიცე ნაბიჯით რედაქციისაკენ, რომ მომხდარი ამბავი ქართულ საზოგადოებას აცნობოს, და მას ვერაგულათ, ქურდულათ, ბაცაცურათ კუთხიდან თავს ესხმის მოყიდული მკვლელი და უსპობს სიცოცხლეს იმ ადამიანს, რომლის სიცოცხლე და ფიქრი მხოლოდ ქართველი მშრომელი ერის ბედნიერება იყო.

და აი სწორეთ აქ ჩვენს წინაშე წამოიჭრება საკითხი: —ვინ მოკლა გრიგოლი? —ამაზე პასუხი ერთია, მარტივია და უკამათო: მოკლა იმან, ვინც გრიგოლის მტრებს გაზეთ «ბრძოლა»-ს ფურცლებზე აღიზიანებდა, ვინც გრიგოლის კრიტიკას ვეღარ გაუძლო. (საჭიროა მენშევიკურ გაზეთის ფურცლები გადავიკითხოთ და ცხადი იქნება ჩვენი შეხედულება).

კეთილო მეგობარო გრიგოლ, შენსკენ გამოსროლილი ტყვია, —ეს იგივე ქართველი ერისკენ, მისი ხელისუფლებისკენ გასროლილი ტყვიაა. მოღალატეს სურვილია შენ თავდადებულ მუშაობას ბოლო მოუღოს, რადგან მტრისთვის ის ერთობ საშიშია.

მაგრამ უბადრუკს ეშლება ანგარიში. შენ მიერ დაწყობილი საქმე მორალურად იმდენად ძლიერია, რომ იგი არამც თუ შენელდება, არამედ ერთი ათასად გაძლიერდება. შენ მიდიხარ ჩვენგან შავ სამარეში, მაგრამ შენი საქმიანობა, შენი მოქმედება, ბრძოლა და ზრუნვა დარჩება ჩვენში, როგორც მისაბაძი მაგალითი პატიოსანი ინტელიგენტისა!..

ლ. ჟანდარელი

ბერლინი

საბჭოთა საქართველოს
მოქალაქეთა საზოგადოებას ქ. პარიზში

ძვირფასო ამხანაგებო!

პრაღის საბჭოთა საქართველოს ახალშენის წევრები თქვენთან ერთად გლოვობენ დიდ დანაკლისს ამხ. გრ. ვეშაპელის ვერაგულ დაღუპვის გამო.

პარიზის საბჭოთა საქართველოს საზოგადოებამ დაკარგა ერთი აქტიური პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, დაუღალავი მუშაკი, მადლიერი კალამის პატრონი ამხ. გრ. ვეშაპელი. მაგრამ საზიზღარი შურისძიების აქტი, რომელიც ემიგრაციის გაბოროტებულმა ნაწილმა ჩაიდინა, ჩვენი ღრმა რწმენით, მიაღწევს წინააღმდეგს, ნაცვლად ჩვენი რიგების დასუსტებისა.

ამის მრავალი მაგალითები გვაქვს!

მუხლს ვიდრეკთ უდროოდ დაღუპულ ამხანაგის ნაშთის წინაშე!

ამხ. ილურიძე, ხაბურზანია, გაბუნია.

15-6-1926 წელი. ქ. პრაღა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრ. ვეშაპელის დასაფლავება

მენშევიკების მსხვერპლს მისმა მეგობრებმა და რევოლიუციონერებმა ღირსეული დასაფლავება გაუმართეს.

დილის 9 საათიდან დაიწყო გვირგვინებით და თაიგულებით გრიგოლის კუბოს შეკაზმვა.

ადგილობრივი ხელისუფლების განკარგულებით პროცესიის მარშრუტის მთელ მანძილზე და მახლობელ ქუჩებზე პოლიციელთა რაზმებია გამწკრივებული.

სამგლოვიარო ეტლს მრავალრიცხოვანი ბრბო უახლოვდება, რაღაცას ჩუმათ ამბობს და შორდება; ყველა ხედავს ნახევრად ახდილ კუბოდან გამომყურე გაციებულ გრიგოლის ცხედარს და თავ დახრით უკან ბრუნდება.

9 1/2 საათზე სამგლოვიარო პროცესია დაიძრა სასაფლაოსკენ. ქართველი და რუსი ახალგაზრდობა იცავს წე-ს რიგს.

სამგლოვიარო ეტლს წინ მიუძღვიან გვირგვინებით ხელში მისი ახლო მეგობრები...

უკან მისდევს ათასეული მწყობრი რიგი ამხანაგებისა, უდრომლით, ჩუმათ...

წვიმა მატულობს, მისი ინტენსივობა იზრდება... მაგრამ გრ. ვეშაპელის ქვრივი მაინც ფეხით მივა სასაფლაომდე...

გზებზე ხალხი იხდის ქუდს და ჩვენ გვესმის ფრანგ მუშების ლაპარაკი: «ქართველია, ის ქართველია!.. »

მონპარნასის სასაფლაო... წვიმა უფრო ცხარობს... პროცესია ჩერდება, ქართველებს კუბო გათხრილ ორმომდე ხელით მიაქვთ..

ხალხი უფრო ჯგუფდება; უკანასკნელი გამოსათხოვარი და მგრძნობიერი სიტყვა ქართულად თქმული მისი მეგობრის მიერ.

დაბალი, მაგრამ იმედიანი და ენერგიული ხმით ხალხი მღერის «მსხვერპლად დაეცი»-ს... მას უერთდება გულიდან ამონაზეთქი ქვითინი გრ. ვეშაპელის ქვრივისა...

გვირგვინები და წითელი თაიგულები ფარავენ ახალ საფლავს... პატარა წარწერა: «გრიგოლ ვეშაპელი, 35 წლის,» აღიმართა მის სამუდამო მყუდრო ბინაზე. გვირგვინები ყველას ეუბნებიან, თუ ვინ განისვენებს ამ სამარეში: «ახალი საქართველოს» რედაქცია, ქართული საბჭოთა კოლონია, საფრანგეთში მყოფ რუს მუშათა კავშირი, რუს მელითონეთა სეკცია, ს. ს. რ. კ. სტუდენტთა კავშირი, რევოლუციონერთა დამხმარე ორგანიზაცია, სრულუფლებიანი საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის წარმომადგენლობა, პარიზის საბჭოთა დაწესებულებების ფრანგი მოსამსახურეები და სხვა...

აი ვინ არის გრიგოლ ვეშაპელის ჭირისუფალი, აი ვინ აღნიშნავს შესაფერისად მის ხსოვნას...

ხალხი თანდათან იშლება, თანაგრძნობის სალამი ეძლევა გრ. ვეშაპელის ქვრივს...

...მიწა თანდათან და სამუდამოთ ფარავს კუბოს, კუბოს მენშევიკების და კონტრრევოლიუციონერების მსხვერპლისა..

კომუნის წლისთავი

«დღეს ძველ საფლავებს ახალი მიემატა... საფლავი ქართველი ვეშაპელის, თეთრმა რეაკციამ რომ შეუჩერა გულის ცემა. ის ეხლა მიაცილეს მის სამუდამო ბინაზე მისმა მეგობრებმა. ძველი კომუნისტები და მათი მემკვიდრეები ვერ დაივიწყებენ ამ ახალ მსხვერპლს.

მივესალმებით რა მის საფლავს, ისე როგორც მივესალმებით კომუნის წევრის ექიმ გუპილას საფლავს, ათი ათასი პარიზის მუშა ფიცს ვდებთ და საქვეყნოთ ვაცხადებთ, რომ არ დავივიწყებთ ამ სამწუხარო ეპიზოდებს და მათგან შესაფერ დასკვნებს გამოვიტანთ».

(გრიგოლ ვეშაპელის საფლავი იმავ დღესვე ინახულა და მის ხსოვნას პატივი სცა ხსენებულ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, პარიზის მუშების მრავალრიცხოვანმა ჯგუფმა).

საბჭოთა პრესა

ტერორის გზით

(მოწ. წერილი გაზეთ «ზარია ვოსტოკა»-სი № 1202)

მხეცურმა მკვლელობამ გრიგოლ ვეშაპელის და თვითმკვლელობამ კარლო ჩხეიძის ნათელყო ახალი დიდმნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც უკანასკნელ ხანამდე საიდუმლოებით იყო მოცული მენშევიკურ დირექტორიის მიერ. ორმა მსხვერპლმა ახადა ფარდა ამ საიდუმლოებას: ერთმა —ემიგრანტულ ბანაკში— ვერ აიტანა საშიშროება უკანასკნელი გადაწყვეტილების ჟორდანია-რამიშვილის ცენტრისა; მეორემ, რომელმაც უარყო გზა მუშურ-გლეხურ საქართველოსთან ბრძოლისა, მხნედ და გადაჭრით მიიღო საბჭოთა პლატფორმა და მოუწოდა სხვებს დაეტოვებიათ შეცდარი გზა და მიყოლოდენ იმათ მაგალითს, ვინც არ შერცხვა აღიარებია თავისი შეცდომები წარსულში.

რა მოვლენებია, რომლებმაც იმსხვერპლა ეს ორი პირი? რამ დასძრა მენშევიკური სიმხდალე ახალი გმირობისაკენ?

ჟორდანია-რამიშვილის ბანდიტურმა ცენტრმა დიდი კამათის შემდეგ მიიღო გადაწყვეტილება სისტემატიურ ტერორზე გადასვლისა.

ჟორდნია-რამიშვილმა იციან რამდენათ კეთილმობილია საბჭოთა ხელისუფლება ყოფილ მტრებთან, რომლებმაც ცნეს თავისი შეცდომები, მაგრამ იციდენ ამ ვაჟბატონებმა რომ საბჭოთა ხელისუფლების სისასტიკე და მრისხანება უსაზღვროა იმათდამი, ვინც მიდის მუშათა კლასის წინააღმდეგ, ვერაგულათ კლავს მის ხელმძღვანელთ და მასთან შერიგებულ ყოფილ მოწინააღმდეგეთ.

ეს არ არის მარტო დამუქრება სიტყვის სილამაზისთვის და უბრალო შეშინებისთვის. მკვლელები მიხვდებიან, რომ საბჭოთა ხელისუფლებას არ ექნება არავითარი შებრალება მათი! გაბედონ გაგრძელება ამ გზის!..

ჟორდანია-რამიშვილის მიერ ტერორისტული გზის არჩევა მაჩვენებელია ჩიხის, რომელშიაც ისინი მოხვდენ. არაფერს სასიქადულოს ეს მათ არ უქადის. ეს მხოლოდ დააჩქარებს ანტისაბჭოთა მენშევიკურ ფრონტის მოსპობას. ტერორის გზა რამიშვილებს უფრო მოსტეხს კისერს, ვიდრე 24 წ. აჯანყება.

ჩხეიძემ თავი მოიკლა პროტესტის ნიშნად მენშევიკურ ცენტრის ტერორისტულ გზაზე გადასვლის გამო. მას არ ეყო მოქალაქეობრივი გამბედაობა ეს საქვეყნოთ ეღიარებია . მან ამჯობინა თვითმკვლელობა. ვეშაპელი დაეცა მენშევიკურ ბანდიტის ხელით, რომელმაც ტფილისში სალარო გაძარცვა და თავი ემიგრაციას შეაფარა. რამიშვილებმა მოკლეს ვეშაპელი იმიტომ, რომ ის აწარმოებდა მოხდენილ კამპანიას საბჭოთა ხელისუფლების ცნობისთვის. სისტემატიურ ტერორზე გადასვლის გზა მაჩვენებელია რამიშვილის განზრახვის მოსპოს ყველა, ვინც მას წინ ეღობება, «გააჯანსაღოს» დანგრეული ემიგრაცია. ვეშაპელის მკვლელობა არ არის პირველი ტერორისტული აქტი, რომელიც მენშევიკებმა ჩაიდინეს. მათ დახოცეს: გიორგაძე, ქაიხოსროშვილი საბჭოთა ხელისუფლების ცნობისთვის. ცდა იყო საბჭოთა ნიადაგზე მდგომი სტუდენტების მკვლელობის ევროპაში. მაგრამ ამ ფაქტებს არ ქონდათ მაინც სისტემატიური ხასიათი. ეხლა კი ჟორდანია-რამიშვილი ფიქრობენ სისტემატიურ ტერორზე გადასვლას. ჩვენ ვაფრთხილებთ, რომ ეს გზა მკვლელებს დაუჯდებათ ძვირად! საბჭოთა საქართველოს მშრომელნი მისცემენ მათ ღირსეულ პასუხს.

შეუძლიათ დარწმუნებულნი იყონ ამაში!

G. VESCHEPELI
Photo Arpiar

«მედიკო-ლეგალ» ინსტიტუტის წინ, საიდანაც გრ. ვეშაპელის ცხედარი გამოასვენეს.

ყოფილი მენშევიკები:

ამხანაგი ფარნიევი

გაზეთ «ზარია ვოსტოკა»-ს № 1202

«ქართული ემიგრაცია საქართველოს გასაბჭოების დღიდანვე არ იყო ერთსულოვანი. 24 წლის აჯანყებამ სრულიად გამოაცალა მას საღი ელემენტები მუშებში და გამიჯნა მათგან ისეთი ბელადთაგანიც კი, როგორიც იყო კარლო ჩხეიძე. ეხლა ერთი რამ ცხადია: რაც არ უნდა ილაპარაკოს ემიგრანტულმა , სიმდაბლემ, კარლო ჩხეიძის თვითმკვლელობა მათი ბრალია. თუ ფიზიკური მკვლელობა არ მოუხდენიათ მათ ჩხეიძის, ზნეობრივათ ის მიიყვანეს სასოწარკვეთილებამდე. რამიშვილმა და კამპანიამ დაკარგა რა ყოველგვარი იმედი გამარჯვებისა და გაიხლართა რა მათ მიერ შექმნილ წინააღმდეგობებში განიმზადა თავისთვის უტყუარი დაღუპვა. ამას ცხადათ ადასტურებს: თვითმკვლელობა ჩხეიძის, მხეცური მოკვლა ვეშაპელის და მთელი რიგი ფაქტებისა, რომელსაც ამ ბოლო დროს ქონდა ადგილი პარიზის ქართულ ემიგრაციაში.

ამხანაგი ხელაძე

(გაზეთი კომუნისტი № 139)

გრიგოლ ვეშაპელი დაეცა ბრძოლის ველზე. ის მოკლეს რისთვის? იმისთვის, რომ მან, ქართველმა ინტელიგენტმა, ხმა აიმაღლა ახალ საქართველოს დასაცავათ, ის როგორც ფაქიზი ინტელიგენტი, აგრეთვე ჩამოშორდა ნაციონალისტურ რომანტიკას. საბჭოთა წყობილების დამყარებას ის შეურიგდა მთელი თავისი ღრმა გულწრფელობით. მან გაიგო ის ჭეშმარიტება, რომ საბჭოთა ხელისუფლება, თავისი კონსტიტუციით რადიკალურათ სჭრის ნაციონალურ საკითხს, რომ საქართველოში ნაციონალური ეკონომიკა და სულიერი კულტურა სწრაფი ნაბიჯით მიექანება წინ, რომ ნამდვილი დამოუკიდებელი საქართველო მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურის გზით გაზდება.

მისმა გამჭრიახმა გონებამ, განსჭვრიტა ახალი საქართველოს კეთილდღეობა.

და ამიტომაც ის მედგრად და გმირულად იცავდა „ახალ საქართველოს“ ფურცლებზე ამ ჭეშმარიტ აზრებს.

ის ამისთვის გამოასალმეს სიცოცხლეს.

ის, ახალგაზრდა, ნიჭიერი და ერთი თვალსაჩინო წევრი ქართველი ინტალიგენციისა, მუხანათურათ მოსწყვიტეს ჩვენს რიგებს.

ამხანაგი სულაქველიძე

(გაზეთი «ახალგზელი»)

«ჩვენი ფაშისტების, ყოფილ მენშევიკების დაქირავებულმა კაცმა ტყვიით განგმირა ვეშაპელის გული. ჩვენ არასოდეს არ ვყოფილვართ გრ. ვეშაპელის მსოფლმხედველობის მოზიარენი; იყო აზრთა სხვაობა, მაგრამ მიუხედავათ ამისა ჩვენ ყოველთვის პატივს ვცემდით მას, რადგან ჩვენ ის მიგვაჩნდა გულწრფელ და პირდაპირ მთქმელად იმისა, რასაც ის ფიქრობდა. ერთმა უსასტიკესმა მტერთაგანმა საბჭოთა ხელისუფლებისა, მან, მალე ამ ხელის უფლების საქმეთა შემხედვარემ, მამაცათ და გულახდილათ აღიარა ბოლშევიკების ქვეყნად განმტკიცების სარგებლიანობა ჩვენი სამშობლოსათვის. ის ციფრებით ხელში ნათელყოფდა იმ დიდ მიღწევებს, როგორც კულტურულ, ისე ეკონომიურ ფრონტზე, რომლებსაც ადგილი ქონდა საქართველოში ბოლშევიკების შემდეგ. მის წინააღმდეგ ბრძოლა ევროპაში ჩვენი ფაშისტებისათვის ძლიერ ძნელი შეიქნა, რადგან ვეშაპელის მხარეზე იყო სინამდვილე და ცხოვრების უტყუარი ფაქტები. ამიტომ იდეურ ბრძოლაში დამარცხებულ რამიშვილისტებს მეტი არაფერი დარჩენოდათ—უნდა მიემართათ რევოლვერისათვის. ეს გასაკვირი და მოულოდნელი არ არის. ბურთი დაქანებულ სიბრტყეზე ვერ შეჩერდება, ის შეუჩერებლივ მიექანება უფსკრულისაკენ. ეს მათემატიკური კანონია. ვინც შეითვისა ფაშისტური მსოფლმხედველობა, მან უნდა მიმართოს ფაშისტურ ბრძოლის მეთოდებსაც.

მაგრამ მატეოტების მკვლელობით, მუსოლინმა ვერ დაამარცხა სოციალიზმის იდეა, ვეშაპელის მკვლელობით რამიშვილი და მისი დამქაშები ვერ მოკლავენ იმ იდეას, რომელსაც ქადაგებდა განსვენებული.

მხოლოდ როგორც ვეშაპელის მკვლელობა, ისე კარლოს თვითმკვლელობა გვიჩვენებს ჩვენ, თუ რა უკიდურეს სასოწარკვეთილებას მოუცავს ჩვენი მოწინააღმდეგენი».

ამხანაგი ჭეიშვილი

(გაზეთი «კომუნისტი»)

« მოკლეს გრიგოლ ვეშაპელი, დანით ყელი გამოიჭრა კარლო ჩხეიძემ!

აი ის სისხლიანი სურათი, რომლის წინაშე აყენებს ქართველ საზოგადოებრივობას პარიზის ქუჩებზე გავარჯიშებული ნ. რამიშვილის ბანდიტური „ოტრიადი“.

ჩხეიძე და ვეშაპელი ორი თვალსაჩინო ფიგურა იყო საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლთა ბანაკში ქართულ ემიგრაციიდან.

რუსეთის პროლეტარიატმა შეუბრალებლათ გაანადგურა და განდევნა როდზიანკოების კოალიციის მართლმადიდებელნი. ამ წრეში პირველი იყო კარლო ჩხეიძე. ამის შემდეგ მისი მოქმედების ასპარეზი შემოიფარგლა საქართველოს მაშტაბით, მაგრამ აქაც მოუსწრო რუსეთის რევოლიუციის ტალღამ და სხვებთან ერთად გადაიხიზნა ემიგრაციაში. ემიგრაციაში ყოფნის დროს ის უკვე რწმუნდება, რომ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლა წაგებულია, რომ ყოველმხრივ გაწბილებული და ემიგრაციის მასის ტერორით დაშინებით არ შეიძლებოდა რესტავრაციის მოხდენა.

მაგრამ მას არ ეყო გამბედაობა, რომ საჯაროთ აღიარებია ყველაფერი ეს და დაპირდაპირებოდა „რამიშვილების“ ბანდიტურ მოღვაწეობას. ამიტომ პასუხისმგებლობის ასაცილებლათ და ჩადენილი დანაშაულის შესამსუბუქებლათ მან მიმართა საკუთარი თავის დასჯას.

გ. ვეშაპელი იყო გულწრფელი, გაბედული და აშკარად მომქმედი ადამიანი. ის, ღრმათ დარწმუნებული იყო, რომ საბჭოთა ხელისუფლების სისტემა ერთად-ერთი საშუალებაა ქართველი ხალხის ეკონომიურ და კულტურულ წინმსვლელობის წარმატებისათვის, რომ მუშებისა და გლეხების ხელისუფლება ეროვნულ კულტურის განვითარების უტყუარი საწინდარია. მან შესძლო ყალბი თავმოყვარეობის გრძნობის დაძლევა და სიმართლის აღიარება და რამიშვილები ამისათვის ასალმებენ მას მუხანათურად წუთისოფელს.

მხოლოდ ამ განწირული ადამიანების გაბოროტებულ სულს შეუძლია ასეთ დაწვრილმანებულ და დაკნინებულ პროვოკაციამდე მისვლა.

მაგრამ ტყუილი ცდაა, ბრძოლის ამ მეთოდით და ტერორისტული აქტებით არ შეიძლება შეჩერება ემიგრაციაში დაწყებულ გამოფხიზლების პროცესის. პირიქით, ეს კიდევ უფრო დააჩქარებს ამ პროცესს».

დეპეშები

ბერლინი. 14-6-26 წ.

ვწუხვართ ძვირფასი გრიგოლის დაკარგვას, რომელიც წელთა განმავლობაში უშიშრათ იბრძოდა და უკანასკნელ წუთამდე გმირულად იდგა თავის სადარაჯოზე საქართველოსათვის, რომლის უკეთეს მომავალს მან თავისი სიცოცხლე შესწირა.

გრიგოლის ხსოვნა დაუვიწყარი დარჩება.

ივანიშვილი, ხვანიძე, ლომაძე, მიქაელიან, მეგრელიძე.

ბერლინი 14-6-26 წ.

ცენტრალური ბიურო ამიერკავკასიის საზღვარგარეთელი საბჭოთა სტუდენტობისა გამოსთქვამს ღრმა მწუხარებას გაზეთ „ახალი საქართველოს “რედაქტორის, მოქალაქე ვეშაპელის მუხანათური მკვლელობის გამო. ჩადენილი ვერაგობა ერთხელ კიდევ ამტკიცებს, რომ ქართველი მენშევიკების ლიდერები უძლურნი არიან შეაჩერონ პატიოსან ხალხთა მიერ მათი რიგების მიტოვება, რაც მოწმობს მათ სრულ პოლიტიკურ გაკოტრებას და ბანდიტიზმში გადასვლას.

ცენტრალური ბიურო ამიერ-კავკასიის სტუდენტობისა.

ბერლინი 16-6-26.

ამა წლის 15 ივნისს საბჭოთა საქართველოს მოქალაქეთა საზოგადოების საერთო კრებამ მოისმინა აღმაშფოთებელი ცნობა მისი წევრის გრიგოლ ვეშაპელის პარიზში ვერაგულათ მოკვლის შესახებ. ეს საძაგელი აქტი დამამტკიცებელია ემიგრანტულ წრეების უკიდურეს გახრწნის და დანგრევის, რომელმაც იდეურ ბრძოლაზე დიდი ხანია ხელი აიღო და ინდივიდუალურ ტერორის გზას დაადგა. საზოგადოება დარწმუნებულია, რომ ეს არის უკანასკნელი დღეები ემიგრაციის სამარცხვინო არსებობისა. ამ აღმაშფოთებელ მოქმედებამ საბოლოოთ უნდა აუხილოს თვალები იმათაც, ვისაც კიდევ ოდნავათ შერჩენია რწმენა ემიგრაციისგამანთავისუფლებელ მისიაზე.

საბჭოთა მოქალაქეთა კოლონია ბერლინში

პრაღა 16-6-26.

პრაღის საბჭოთა საქართველოს და ამიერ-კავკასიის სტუდენტთა კავშირები თქვენთან ერთად გლოვობს ძვირფასი გრიგოლის უდროვოდ დაღუპვას.

ილურიძე, ზაბურზანია.

გაზ. «ახალი საქართველო»-ს რედაქტორის მოადგილეს

პატივცემულო მოქალაქე!

ქ. პრაღაში მყოფი საბჭოთა ამიერ-კავკასიის სტუდენტთა კავშირის სახელით გიცხადებთ თანაგრძნობას და ჩვენ მწუხარებას პატივცემული გრიგოლ ვეშაპელის მკვლელობის გამო. ჩვენ ყველანი აღშფოთებულნი ვართ ამ ველური ბოროტმოქმედებით, რომელიც მოწმობს იმას, თუ რამდენათ დაცემულია ეხლა ქართული ემიგრაცია.

გამგეობა

პრაღა 18-6-26.

ეროვნული

ჩვენი კოლონიების ხმა

პარიზის ქართული საბჭოთა კოლონია გამოსთქვამს ღრმა მწუხარებას გრიგოლ ვეშაპელის ნაძალადევი სიკვდილის გამო.

ქართული საბჭოთა კოლონია — გრიგოლ ვეშაპელის იდეის და შრომის ნაყოფია. ამიტომ ადვილი გასაგებია მისი ფაქიზი დამოკიდებულება ხსენებულ კოლონიისადმი.

ცნობები საქართველოდან, რომელიც ადასტურებენ მის იდეის სისწორეს, საქართველოს ეროვნული იდეის ხელუხლებლობას და მის რეალიზაციას ცხოვრების სხვა და სხვა მხარეებში: პრესა, სკოლა, ხელოვნება და უდიდეს ეკონომიურ მნიშვნელობის კერის დაფუძნება საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში — გრიგოლ ვეშაპელის ერთად-ერთი სიხარული იყო.

გრიგოლ ვეშაპელი ბავშური აღფრთოვანებით უზიარებდა კოლონიას ამ სიხარულს.

ის ცდილობდა ევროპაში გამოხიზნულ ქართველობის სამშობლოს კულტურულ ეკონომიურ ცხოვრებასთან დაკავშირებას. ამ მიზნით მან შესწირა კოლონიას ასზე მეტი სხვა და სხვა შინაარსის ქართული წიგნი. ამ რიგათ შექმნა სამკითხველო, რომელსაც ის სამშობლოში გამოსული გამოცემებით თანდათან ამდიდრებდა, რომ მსურველთ შესძლებოდა სამშობლოს სიტყვის და საქმიანობის გაცნობა, გრიგოლ ვეშაპელს ქონდა განზრახული გამოეცა პარიზში რამოდენიმე ქართული წიგნი, მაგრამ სრულიად უაზრო სიკვდილმა მოუსპო ეს შესაძლებლობა.

გრიგოლ ვეშაპელი მეტად მგრძნობიარე, მეტად გულშემატკივარი ადამიანი იყო.

ის ხშირად უსიტყვოდ გრძნობდა კოლონიის საჭიროებებს და ყოველთვის მზათ იყო მორალური დახმარება გაეწია მისთვის.

გრიგოლ ვეშაპელი, გამოჩენილი ჟურნალისტი, ოცნებობდა საქართველოს მიწაზე ფეხის დადგმას, მის მზის სხივებში მოხვედრას, მაგრამ ცხოვრების უკუღმართობამ საფრანგეთის მიწაში მიუჩინა მას სამუდამო ბინა.

ზღაპრულია ამ ჯერ კიდევ ნორჩი ძალის მოკლე ცხოვრება, განუზომელია ჩვენი მწუხარება.

პარიზის ქართული საბჭოთა კოლონია

გაზეთ «ახალი საქართველო»-ს რედაქციას!

ძვირფასო ამხანაგებო!

პრაღის საბჭოთა საქართველოს ახალშენი ღრმად დამწუხრებული და აღშფოთებული ამხ. გრ. ვეშაპელის ვერაგული მკვლელობით, თქვენთან ერთად გლოვობს ძვირფასი ამხანაგის უდროვოდ დაღუპვას, რომელიც გმირულად დაეცა საბჭოთა საქართველოს ინტერესების დაცვის პოსტზე.

ქართული ემიგრაციის შავმა ძალებმა ვერ მოინელეს ამხ. გრიგოლის გამოსვლით მათი შავი საქმეების მხილება და იმის მაგიერ, რომ უარეყოთ ამხანაგის დებულებები, მათ ზურგს უკან მიპარვით მისი მოკვლა არჩიეს და ფიზიკურად, მართლაც, ამხ. გრიგოლი ჩვენს რიგებს მოაშორეს ...

ალბათ, ემიგრაციის გამოფიტულმა მეთაურებმა იფიქრეს: თუ მარმანდელი «დაკვრის პოლიტიკა»-მ (რომელსაც ისინი აწარმოებდენ ყველა შინ მიმავალი ქართველი მოქალაქის მიმართ, პარიზში!) ვერ მოიტანა ნაყოფი და უშედეგოთ დამთავრდა — ამიტომ «დაკვლის» პოლიტიკა აჯობებსო. გადასწყვიტეს და აი კიდეც ამხ. გრიგოლი იმსხვერპლეს!

ნუ თუ ამით ვინმეს შეშინება სურთ? რა სისულელეა!

ყველა ჩვენთაგანი მზათაა ამ საზიზღარი—ლაჩრული ანგარიშის გასწორების შემდეგ ამხ. გრ. ვეშაპელთან, — უფრო მეტის ენერგიით და შეძლებით დაიცვას თავისი პოზიცია და სასტიკი ბრძოლა აწარმოოს ემიგრაციის დამღუპველ პოლიტიკის მოსასპობლად.

დეე, ყველა პატიოსანი ქართველი მოქალაქე კარგათ დაუკვირდეს თუ რას ნიშნავს ასეთი საზიზღარი შურისძიების აქტი, კალმით და იშვიათი—პოლიტიკური ერუდიციით შეიარაღებული ამხ. გრ. ვეშაპელის მიმართ!

მაგრამ სინიდისი რომ ქონდეთ განა ამას ჩაიდენდენ!

მიიღეთ ჩვენი თანაგრძნობა იშვიათი ნიჭის პატრონ და დაუღალავი მუშაკის—ამხ. გრ. ვეშაპელის ვერაგულად მოკვლის გამო!

დიდია დანაკლისი, მაგრამ უფრო დიდია ჩვენი მოვალეობა, რომელიც წინ გვიდევს და ამიტომ საერთო ძალებით იმედია მოვიგერიებთ მოზღვავებულ რეაკციონურ ძალებს!..

ზიზღი მკვლელებს!

საუკუნო ხსენება უდროოდ დაკარგულ საყვარელ ამხანაგის ხსოვნას!

ბ. ილურიძე, ხაბურზანია, მომცემლიძე, გაბუნია, გ. გვილავა, თ. ნაცვალაძე, შ. ჯაფარიძე.
ქ. პრაღა. 15. 6. 1926 წელი.

ქართველი ემიგრაციის ერთ-ერთი სულის ჩამდგმელი გრიგოლ ვეშაპელი, თავის ფართო დემარშების შემდეგ ევროპაში რწმუნდება, რომ მისი პატრიოტობა და ნაციონალისტობა ავალებს მას ხელი შეუწყოს იმ ეკონომიურ აღორძინებას და კულტურულ წინსვლას, რომელსაც საბჭოთა საქართველოში აქვს ადგილი და არა ჩვენი ქვეყნის ფიზიკურად გამანადგურებელ ავანტიურის ცეცხლი აღვივოს. გულწრფელი კერძო ცხოვრებაში, განსვენებული გულწრფელი რჩება პოლიტიკაში და თავის რწმენას მისი რედაქტორობით გამომავალ გაზეთ «ახალი საქართველო»-ს ფურცლებზე ხმა მაღლა აღიარებს. თავის ბასრ კალამს ის რკინის ნებით აღჭურვილი, იმ ჯგუფ-ელემენტების წინააღმდეგ მიმართავს, ვინც ქართველი ერის ნორმალურ წინსვლას ეღობება და ახალ ფათერაკს უმზადებს. მისი რწმენის სისწორეს საბჭოთა საქართველოს სინამდვილე ადასტურებს. «ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ადრე თუ გვიან ქართული ემიგრაცია საფრანგეთში შეცვლის ავანტიურის პოლიტიკას რეალურ პოლიტიკაზე», სწერს გრიგოლი «ახალი საქართველო»-ს გასული წლის 30 ივნისის ნომერში.

10 ივნის დღის 4 საათზე, პარიზში, სასამართლოს სასახლის წინ, თბილისში კარგად ცნობილი ვიგინდარა ავთ. მერაბიშვილი სასიკვდილოთ სჭრის გრიგოლ ვეშაპელს. 23 წლის ჭკუაზე ღარიბ მერაბიშვილს გაგებაც არ აქვს იმის, რაც ჩაიდინა და აქ საეჭვო არაფერია რომ მერაბიშვილის მიერ გასროლილი ტყვია მომართული იყო სულ სხვა ჯგუფის მიერ.

ცდა ყანდარელზე დასრულდა ვეშაპელით. მაგრამ ეს ვერ შეაჩერებს მათ გაქრობას, ემიგრაცია ინგრევა და მალე მთლად დაინგრევა. ხოლო გრიგოლ ვეშაპელის უშრეტი ენერგია სამაგალითო იქნება ჩვენთვის.

ჩვენი ხსოვნა და პატივისცემა უსაზღვრო იქნება შენდამი, ღირსეულო მებრძოლო და ნიჭიერო საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწევ, გრიგოლ!..

პარიზის ქართ. საბჭოთა სტუდენტობა.

ადამიანის და მოქალაქის უფლების დაცვის ლიგა

ამ დღეებში ლიგამ თავის მორიგ კრებაზე გამოსთქვა მწუხარება ნ. ჩხეიძის გარდაცვალების გამო.

როგორც მკითხველებს უკვე მოეხსენებათ ლიგის ქართული განყოფილება ნ. ჩხეიძის და გრ. ვეშაპელის მეთაურობით დაარსდა.

და მართლაც ადამიანი იფიქრებს, რომ ლიგა აღნიშნავდა გრ. ვეშაპელის ტრაგიკულ სიკვდილს ისე, როგორც ის მოიქცა ნ. ჩხეიძის მიმართ, მით უმეტეს გრიგოლი ლიგის ქართული განყოფილების წევრი იყო.

მაგრამ თუ დღემდის ლიგის გულწრფელობა ვინმეს კიდევ სწამდა, დღეიდან ეს საკითხი სამუდამოთ მოხსნილია.

ორგანიზაცია, რომელმაც თავის დროშაზე უკეთილშობილესი ლოზუნგები დააწერა სიჩუმით შეხვდა ჩვენი რედაქტორის ტრაგიკულ სიკვდილს და საშინელ ძალადობას გვერდი აუარა.

ვრიგოლს ეს არც სჭიროდა, მის ხსოვნას ქართველი მშრომლები უფრო ღირსეულად აღნიშნავენ, მაგრამ ლიგამ თავისი უსირცხვილო ფაქტით საჯაროდ დაამტკიცა, რომ ადამიანათ მას მხოლოდ ბურჟუა მიაჩნია და მოქალაქეთ—მუშათა კლასის მტერი.

კარლო ჩხეიძე

12 ივნისს სიცოცხლეს გამოესალმა საქ. სოც.-დემოკრატიულ პარტიის ლიდერი და ყოფ. დამფ. კრების თავჯდომარე კარლო ჩხეიძე.

თვითმკვლელობის მიზნით კარლომ ყელი გამოიჭრა 7 ივნისს, მაგრამ სიკვდილამდის ეს საიდუმლოთ ინახებოდა მისი პოლიტიკური მეგობრების მიერ.

რატომ?

—გაზეთი «უმანიტე გ. ვეშაპელის მოკვლის და ჩხეიძის თვითმკვლელობის აუცილებელ კავშირზე მიგვითითებს; ჩვენ ეს არ ვიცით, მაგრამ ერთი რამ ცხადია: კარლოს თვითმკვლელობის მიზეზები უეჭველად პოლიტიკური მოტივებია.

რატომ გამოეთხოვა სიცოცხლეს თავისივე ხელით კარლო ჩხეიძე?

საქ. სოც.-დემოკრატები, რომლებმაც ის 7-დან 12-ივნისამდე ჩინურ კედლების გადაღმა მოაქციეს, ვალდებული არიან ახსნა-პასუხი მოგვცენ.

რას ამბობდა ის? სად არის მიზეზები მისი ასეთი გადაწყვეტილების და ნაბიჯის? სად არის მისი წერილი?

არის ეს იმედის გაცრუება იმ საქმეში, რომელსაც ის 40 წლის განმავლობაში ემსახურებოდა? და თუ არის, რას ნიშნავს ეს?

ან და შეიძლება სოც.-დემოკრატები მას გამოაცხადებენ «სნეულად», როგორც გამოაცხადეს დ. მხეიძე, რომ «შეიძლება გამობრუნებული» მის გვერდით დაებინავებიათ.

ისტორია ახდის ფარდას მენშევიკების ამ ახალ დანაშაულს.

უცხოეთში ჯერ-ჯერობით კიდევ იბრძვის, გამოუვალ ჩიხში მომწყვდეული, უმნიშვნელო ჯგუფი ქართველი მშრომელი ხალხის მტრებისა.

ნაწილს იმედის დაკარგვა და ნაწილს მხეცური გატაცება ახასიათებს.

პირველის გამომხატველი უმაღლესი წერტილი კარლოს საქციელია, მეორეს—მხეცური გატაცების - გ. ვეშაპელის ვერაგული სიკვდილია.

ერთიც და მეორეც ახასიათებს ქართულ თეთრგვარდიელების მორალურ დასამარებას.

დაე თვით კეთილშობილების სიმებზე მღერის მოყვარულმა ბ. წერეთელმა ახსნას ეს ორი სიკვდილი და ძველ რიგებში შეინახოს თავისი «წმინდა ანაფორა», თუ ეს კიდევ მოსახერხებელია.

შ. ელიავას მოხსენებიდან

საქართველოს ინდუსტრიალიზაციის შესახებ*

ელექტროფიკაცია.

ჩვენს ცხოვრებაში, ჩვენს მეურნეობაში ელექტროფიკაცია მეტად მნიშვნელოვან როლს თამაშობს. მისი პოპულიარიზატორია ამხ ლენინი. მან ყველაზე ნათლად ესმოდა ამ საკითხის მნიშვნელობა და მისი ინიციატივით მოეწყო კავშირში ელექტროფიკაციის საქმე. პროგრამა გაფართოებული, არსებობს გეგმა, ელექტროფიკაციას ჩვენც მოვკიდეთ ხელი. მართალია ის არ შედიოდა ჩვენს გეგმაში მაგრამ ის წარმოიშვა სტიქიურად და ეხლა ჩვენ გვაქვს დაწყებული საქმეები, რომლებიც მალე დამთავრდება და სხვა საქმეები, რომლებიც შენების პროცესშია. ყოველ შემთხვევაში საქართველოს მეურნეობისათვის ელექტროფიკაცია უდიდეს როლს ითამაშებს.

მიმდინარე წლის შემოდგომაზე დამთავრდება ზემო-ავჭალის სადგურის აშენება. ეს სადგური 36 ათასი ცხენის ძალიანი იქნება.

ვაშენებთ ჩვენ აგრეთვე აბაშის სადგურს, თანხები უკვე გაღებულია.

შენდება აჭარისტანის სადგური. პროექტი გვაქვს ქუთაისის სადგურის აგება რიონზე. აბაშის სადგური იქნება 2.000 ძალიანი, აჭარისტანის 7,5 ათასი, ქუთაისის კი 40,000 ძალიანი. როცა ეს სადგურები დამთავრდება ჩვენ დავასრულებთ საქართველოს ელექტროფიკაციის განსაზღვრულ ციკლს. ჩვენ მაშინ მომხმარებლებს შევუგუებთ ამ სადგურებს და შემდეგ მრეწველობის და გლეხობის მოთხოვნილობის ზრდის მიხედვით ავაგებთ ახალ სადგურებს. ყოველ შემთხვევაში საქართველოში ელექტროაღმშენებლობა ჩქარის ნაბიჯით მიდის წინ.

მენშევიკებმა მხოლოდ დაანგრიეს ის რაც იყო, ჩვენ კი ვაშენებთ ზემო-ავჭალის, აბაშის, აჭარისტანის სადგურებს და ვაპირებთ ქუთაისის სადგურის აშენებას. ჩვენ სრულებითაც არ ვფიქრობთ ბოდიშის მოხდას მენშევიკების წინაშე, მათ შეუძლიათ გვაგინონ რამდენიც სურთ, ჩვენ კი სადგურებს ავაშენებთ. ჩვენ უნდა ყოველ მათ წერილზე ვუპასუხოთ ჩვენში პატარა ელექტრო სადგურის აგებით. ეს იქნება მენშევიზმის სრული განიარაღება მსოფლიოს მაშტაბით.

ჩვენი ზემო-ავჭალის სადგურის ელექტროფიკაცია უნდა მოემსახუროს ქალაქის მრეწველობას. ჩვენის აზრით ქუთაისის სადგური უნდა იქნეს ჩვენი რკინის გზების ელექტროფიკაციის ბაზა. ჯერ-ჯერობით ზემო-ავჭალის სადგურს ყავს მომხმარებელი. შემოდგომიდან ჩვენ გვექნება იაფი და კარგი ენერგია.

ტეხნიკური განათლება.

ამით მე ამოვსწურავ ჩემს ცნობებს მრეწველობის შესახებ, მხოლოდ მინდა შემდეგი დავამატო: ჩვენ მრეწველობაში კიდევ უფრო ნაკლები გვყავს ტეხნიკური ძალები, ვინემ სასოფლო მეურნეობაში. ჩვენ გვყავს სხვადასხვა დარგის ტეხნიკოსები, პროფკავშირთა ბიუროში 700 კაცამდეა ჩაწერილი. მაგრამ მათ შორის ძალიან ცოტა არის ისეთი ინჟინრები და ტეხნიკოსები. რომელთაც ქონდეთ პრაქტიკული გამოცდილება. სამრეწველო ინჟენერების საკმაო კადრი ჩვენ არ გვყავს. არ გვყავს არც საშუალო საკომანდო შემადგენლობა ჩვენი მრეწველობისათვის. ჩვენი უბედურობა იმაშია, რომ ხალხი არ ეტანება ტეხნიკის შესწავლას. მოსწავლე ახალგაზრდობა არ იჩენს განსაკუთრებულ ლტოლვას ტეხნიკურ და პრაქტიკულ ცოდნისადმი. ახალგაზრდებს სურთ მთვარეზე აფრენა, ემლევიან ფანტაზიებს, ხოლო ჩვენს ამოცანასთან დაკავშირებით—საქართველოს ინდუსტრიალიზაციისათვის ჩვენ უნდა გვყავდეს ტეხნიკურ მუშაკების სათანადო კადრი. ეს კი ჩვენ არ გვყავს. ამიტომ მე ვფიქრობ, რომ უმანიტარულ სკოლების მაგიერ ჩვენ შევქმნათ ტეხნიკური ტიპის სკოლები, რომლებშიაც მოვამზადებთ საშუალო ტეხნიკურ შემადგენლობას, ინჟენერებს და ტეხნიკოსებს, არა ისე, როგორც ეხლა არის. ეს საქმე უნდა მოვაგვაროთ მთელი ამიერ-კავკასიის მაშტაბით. ტეხნიკას არ უყვარს ერთი რომელიმე ერის ფარგლებში მომწყვდევა. ამიტომ ასე უნდა მოვიქცეთ: ამიერ-კავკასიაში უნდა გვქონდეს საკმაოდ ფართო ინსტიტუტი ყველა დარგის ინჟენერების მოსამზადებლად. ჩემის აზრით კარგათ შეიძლება ამ ინსტიტუტის მოწყობა ბაქოში. ხოლო სასოფლო მეურნეობის მცოდნე პირთა მომზადება ჩვენშიაც შეიძლება. ჩვენ გვაქვს ჩაი, ბამბა, მანდარინა, ყურძენი და ყველაფერი. ჩვენში სასოფლო მეურნეობის შესწავლა უამისოდ წინ ვერ წავა.

ჩვენ ბევრი გვყავს მასწავლებლები, მეცნიერები. ბევრი გვაქვს სამეცნიერო დაწესებულებები, მაგრამ აქედან დიდ პრაქტიკულ სარგებლობას ჯერ კიდევ ვერ ვხედავთ. აი ამიტომ ჩვენ ხელი უნდა მივყოთ ჩვენი სახ. განათლების რეკონსტრუქციას. აუცილებლათ უნდა მოვსპოთ წ. კითხ. უცოდინარობა, რათა ჩვენმა მოზარდმა თაობამ იცოდეს წერა-კითხვა, მაგრამ ყველა კი არ უნდა შედიოდეს უნივერსიტეტში. მაგალითი უნდა ავიღოთ გერმანიიდან, უმაღლეს სასწავლებლებიდან უნდა გამოუშვათ იმდენი ხალხი და ისეთი კვალიფიკაციის, რამდენიც საჭიროა ჩვენი მრეწველობისათვის, რომელიც განვითარების გზაზე სდგას. ნორმალურ დროს გერმანია უმაღლეს სასწავლებლებიდან უშვებდა იმდენ ხალხს, რამდენიც საჭირო იყო გერმანიის მრეწველობისათვის, ამიტომ გერმანიაში უმუშევარი ინჟენერი არ ყოფილა. კაცი, რომელიც თავის ცოდნას ვერ გამოიყენებს, გამოუსადეგარია.

---

*) იხ. „ახ. საქ.“ № 23, 24, 25.

დ. მხეიძე

საშინელ ციხეს გადაურჩა

თუ რამდენად ტრაგიკული იყო ანტი-საბჭოთა მოძრაობის თვალსაჩინო ბელადის დავით მხეიძის ბედი მკითხველებს კარგათ ახსოვთ.

საზღვარ-გარეთ მან საკმაოდ გაიცნო ჟორდანია-ჩხენკელის «მთავრობა», რაც მისთვის დამაკმაყოფილებელი საბუთი იყო, რომ მუშურ გლეხურ მთავრობას შერიგებოდა და სხვებისთვისაც აქეთკენ მოეწოდებია.

დიდათ შეაშფოთა დავით მხეიძის ნაბიჯმა ბ. მენშევიკები და მაშინვე წამალი გამონახეს; არც აცივეს და არც აცხელეს: დ. მხეიძე გიჟად გამოაცხადეს, ციხის მსგავს საგიჟეთში მოაქციეს და თან მკვლელად თავისი კაცი მიუჩინეს, როგორც ყოფილ «დაუფასებელ გმირს».

15 ივნისს დ. მხეიძემ ციხიდან თავი იხსნა და სამშობლოში გაემგზავრა.

ჟორდანია-რამიშვილის «მთავრობის» ყურამდე მისი სახელი ალბათ კიდევ მიაღწევს.

ქრონიკა

სამოქალაქო პანაშვიდი

საბჭოთა საქართველოს ახალშენმა პრაღაში ამ დღეებში გადაიხადა საჯარო სამოქალაქო პანაშვიდი ამხ. გრ. ვეშაპელის ვერაგულად მოკვლის გამო ქ. პარიზში ა. წ. 10 ივნისს.

საქართველოში გაემგზავრა მე-3-მე ჯგუფი ყოფ. ქართველი ემიგრანტებისა

მარსელიდან 30 ივნისს საქართველოში გაემგზავრა მესამე ჯგუფი ყოფილ ემიგრანტებისა, რომლებსაც საბჭოთა საქართველოს მთავრობამ მისცა სამშობლოში დაბრუნების უფლება.

წასულთა შორის ირიცხებიან:

ნ. ღამბაშიძე (ყოფ. ოფიცერი), კობახიძე, ცოტაძე, კახიანი, კვინიხიძე, კინოსიანი, კაჭახიძე (ძველი მუშა სოც. დემ. პარტიის წევრი და ყოფ. პოლიტიკური კატორღელი) და სხვა...

დარჩენილი ჯგუფი მიემგზავრება შემდეგი გემით.

თანაგრძნობის წერილები

გრ. ვეშაპელის ქვრივმა მრავალი თანაგრძნობის წერილი მიიღო სხვა და სხვა ორგანიზაციებისა და პირებისაგან.

ნინა ვეშაპელი უღრმეს მადლობას უცხადებს იმ პირებს და ორგანიზაციებს, რომლებმაც პატივი სცეს ტრაგიკულად დაღუპულ მისი ქმრის ხსოვნას.

Madame veuve N. Veshapely exprime ses bien sincères remerciements à toutes les personnes et à toutes les organisations qui ont témoigné des marques de sympathie à l'occasion de la fin tragique de son mari Grégoire Veshapely.

გამომცემელი: სარედაქციო კოლეგია

Paris. — Imprimerie M. Berstein, 3, Impasse Crozatier (12e) R. C. (Seine) 167.650
Le Gérant : L. BAR